



არემატი

სიასტუები

რიჩ მეტალს გრუპი

N 10 | იანვარი | 2015



2014 წლის 13 დეკემბერს, კომპანია “არემატი” კუთვნილ სალიცენზიო ტერიტორიაზე, კერძო კი საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე სამთომოკოვებითი სამუშაოები განაახლა. აღნიშნული სამუშაოება კომპანიამ 2014 წლის 12 დეკემბერს გამოსვლილი საქარტველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებისა და საქარტველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაიწყო.

კომპანიამ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამუშაოები დაიწყო

კომპანიის მიერ ყაჩაღიანის ბორცვზე სამუშაოების დაწყება გააპროტესტეს საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრებმა, რასაც სანარმოში დასაქმებული ადამიანებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საპასუხო პროტესტი მოჰყვა. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ სანარმოს არ შეეჩერებინა სამთომოკოვებითი სამუშაოები საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე და კომპანიას გაგრძელებოდა ლიცენზია, რათა 2015 წლიდან შეძლებოდა მუშაობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. 23 დეკემბერს როგორც დასაქმებულებმა, ასევე ადგილობრივებმა მასშტაბური საპროტესტო აქცია გამართეს ჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და შემდეგ სახელმწიფო

კანცელარიასთან. ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც წინა დღეებში საყდრისის კომიტეტის წევრებს ესაუბრა, განცხადება გააკეთა ობიექტთან დაკავშირებით: „ქართული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს შორის ერთ-ერთი უძველესი სწორედ საყდრისის ოქროს მაღაროა. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი იდენტობის გამომხატველი თითოეული ნიშნული და ამით დავიცვათ საკუთარი იდენტურობა. ყველა ვალდებულია დაელოდოს სასამართლო პროცესის დასრულებას. მანამდე, კი, დაუშვებელია ობიექტზე ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოება.“ ავლაბრის რეზიდენციასთან მყოფ აქციის

ობიექტის ნაწილის სრული არაეკოლოგიური შესწავლა კანონის შესაბამისად მოხდა, ხოლო დარჩენილ ნაწილზე დამატებითი კვლევების ჩატარება შეუძლებელი იყო ობიექტზე არსებული ავარიული მდგომარეობისა და ნგრევის საფრთხის გამო, რასაც გეოლოგიური დასკვნაც აღემატება. ამასთან, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნის საფუძველზე აღნიშნულ ობიექტზე თვისობრივად ახალი არდამუშავების აღმოჩენა მოსალოდნელი არ იყო.



მონაწილეებს არ შეხვდა და მათი გულისტკივილი არ მოისმინა გიორგი მარგველაშვილმა. სახელმწიფო კანცელარიასთან მისულ ადამიანებს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის თანამშრომლები შეხვდნენ, მათი მოთხოვნები სრულად მოისმინეს და საქმის ვითარებაში გარკვევას დაპირდნენ.

კომპანიის თანამშრომლების საპროტესტო აქცია მომდევნო დღეებშიც გაგრძელდა. ყაჩაღიანის ბორცვთან ათმა მათგანმა კარავი გაშალა და შიმშილობა დაიწყო. კომპანიისა და ყაჩაღიანის უბანზე სამუშაოების გაგრძელების მხარდსაჭერად მიმართვები გაავრცელეს კომპანიის კონტრაქტორმა კომპანიებმა. სპეციალური საინფორმაციო ბრიფინგი გამართეს კაზრეთის #1 და #2 საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა, დაბის კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებმა. მათი განცხადებით, ის ადამიანები, რომლებიც წარმოების გაჩერებას ითხოვდნენ, იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, რომ ათასობით ოჯახი სამუშაოსა და შემოსავლის გარეშე დარჩება. რეგიონში კი ხვალინდელი დღის იმედი აღარი ქნება.

24 დეკემბერს ქვეყნის მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მხარი დაუჭირა კომპანიაში დასაქმებულ 3000-მდე ოჯახს და მათ თანადგომას დაპირდა: “მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ყველას – საზოგადოებას და პოლიტიკოსებს, რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ამომრჩეველების, ჩვენი ხალხისა და

ქვეყნის წინაშე. ვიდრე დასკვნებს, განცხადებებს გავაკეთებთ, საჭიროა, გავითვალისწინოთ იმ ადამიანების ბედი, რომლებიც იქ არიან დასაქმებული.... ბორცვი, რომელიც იყო იქ, თავად სპეციალისტების შეფასებით არის სრულიად სტერილური. მისი არსებობა წლების განმავლობაში არავის ახსოვდა. ჩვენ უბრალოდ საკითხს ვუდგებით სახელმწიფოებრივად და ისე უნდა გადაწყვიტოთ, როგორც არის სწორი. ვფიქრობ უნდა მივცეთ კომპანიას მუშაობის გაგრძელების საშუალება. მე მალეღვებს არა ერთი კომპანიის ბედი, არამედ სამი ათასი ოჯახის ბედი, რომელიც ამ რაიონთანაა დაკავშირებული.”

ნ. იანვარს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა კომპანია “არემქისტვის” ლიცენზიის გაგრძელების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ კომპანიამ ლიცენზიის გახანგრძლივება 29 დეკემბერს ითხოვა, რისთვისაც ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა.

“გამომდინარე იქიდან, რომ ერთის მხრივ, ზემოაღნიშნულ ტერიტორიას უკვე მოხსნილი აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო არქეოლოგიური ობიექტი აღებულია (დაშლილია), ხოლო მეორეს მხრივ, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, სამინისტრომ მიმართა საქართველოს მთავრობას შპს. “არემქი გოლდზე” გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. საქართველოს მთავრობის



გადაწყვეტილებით კომპანიას წიაღით სარგებლობის ლიცენზიის ვადა ზემოაღნიშნულ კოორდინატებში 5 წლით გაუგრძელდა”- ნათქვამია განცხადებაში.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სრულად გაიზიარა ის დამოკიდებულება, რაც ქვეყნის მთავრობას ჰქონდა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. “დაბისა და სრულიად რეგიონის ბედი გარკვეულწილად დამოკიდებულია კომპანიის ფუნქციონირებასთან. ყაჩაღიანის უბანზე განახლებული სამუშაოების წარმოება იქ დასაქმებულ ადამიანებს იმედი



გაუჩინა, რომ მათ სამუშაო ადგილებს საფრთხე არ ემუქრება. იქნებ გაჩნდეს მომავალი სამუშაო ადგილების პერსპექტივაც” – ინება დემურაშვილი.

“რატომ უნდა კომპანიის გაძლიერებისთვის უნდა მოხდეს მეტი საბადოების ათვისება. საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს და აზრთა სხვაობას ვერ გაიზიარებდა რეგიონის მოსახლეობა, ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ ამ დაბაში და სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და პრიორიტეტი ადგილობრივი კადრი იქნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წლების განმავლობაში დაბა კაზრეთი და სოფელი ბალიჩი მოკლებული იყო სხვადასხვა სოციალურ პროექტს, მაგრამ დღეს, ახალი მენეჯმენტის პირობებში გაჩნდა პერსპექტივა, რომ ადგილობრივებისა და ხელმძღვანელობის თანამშრომლობით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება რეგიონისთვის”- ია ვარსიმაშვილი.

“არემჭი” გარალს დაითვლის



2015 წლის 12 იანვარს, “კვირაცხოვლის” უბანზე განხორციელებულმა აფეთქებამ, რომელიც მუშების დაუდევრობამ გამოიწვია, სოფელ ბალიჭში, დაბა კაზრეთსა და სოფელ კაზრეთში მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები დააზიანა. დაზარალებულებმა, მომხდარზე რეაგირების მიზნით, განცხადება ადგილობრივ თვითმმართველობაში შეიტანეს. კომპანიამ შექმნა აფეთქების მომკვლევო ხუთკაციანი კომისია, რომელიც დროულად დაითვლიდა ზარალს. “მოხდა გაუთვალისწინებელი ფაქტი, რის გამოც დაზარალდა მოსახლეობა. შევქმენით კომისია, რომელიც დადის კარდაკარ და ამონებს ადგილზე, თუ რა ზიანი

მიადგა თითოეულ ოჯახს. დაზარალებულთა სია გადმოგვცა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. სადაც მინები იყო ჩამტვრეული ან რაიმე პატარა დაზიანებები, იქ უკვე მიმდინარეობს აღდგენა. უმეტეს ნაწილში მუშები უკვე ჩასულია. დაბაში დაახლოებით 30 ოჯახია დაზარალებული, სადაც უკვე მოხდა დათვალიერება და შემოწმება. კომისია ამ ეტაპზე გადავიდა სოფელ ბალიჭში. ათამდე ოჯახი უკვე შემოწმებულია. როდესაც სავსე სამუშაოები დასრულდება, დავსხდებით და განვიხილავთ თითოეულ შემთხვევას, გავაკეთებთ დასკვნებს და მივანდით ინფორმაციას ჩვენს ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ ისინი გადანაცვლენ, რა სახის

სამუშაოები ჩატარდება. როგორც ვიცი, მოსახლეობის მხრიდან ჩივილი გასულ წლებშიც ხშირად ყოფილა, მაგრამ კომპანიის მხრიდან აღებული პასუხისმგებლობა, ზარალის დათვლა და ანაზღაურება რომ ყოფილიყო, ასეთი რამ არ მახსოვს. 10 წლის წინ რა იყო, არ ვიცი, მაგრამ გასული წლების მანძილზე მსგავსი დამოკიდებულება არ ყოფილა,”- აცხადებს კომისიის თავმჯდომარე მიხეილ კვარაცხელია.

“ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ გადმოგვცა 124 ოჯახის სია. დახმარება გაეწია ათეულობით ოჯახს და ზარალი კომპანიის მიერ იქნა ანაზღაურებული. ნაწილი დარჩენილია და გამოკვლევის შედეგად მათი აღდგენა ეტაპობრივად მოხდება. მშენებელთან ერთად შევდივართ დაზიანებულ სახლებში, ფოტოებზე ვაფიქსირებთ თითოეულ ზზარს, შეიკვრება ყველა დაზარალებულის ოჯახის საქმე და მათ დახმარება გაეწევათ”- ზურაბ ტაბატაძე, კომისიის წევრი. “აფეთქებიდან რამდენიმე დღეში მოვიდნენ და ჩასვეს მინები. ახლაც მოსულები არიან და თითოეულ ზზარს აფიქსირებენ, რომ დახმარება გაგვინიონ. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის,”- მზია ავჭოფაშვილი, სოფელ ბალიჭის მკვიდრი.



კომპანია “არემჯი” კაზრეთელ მოჭიდავეებს სრულად დააფინანსებს

“არემჯი” დაბა კაზრეთში არსებულ მოჭიდავეთა გუნდს სრულად დააფინანსებს, რის შედეგად სპორტის ამ სახეობის სწავლება უფასო გახდება. გასული წლის ზაფხულიდან კომპანიის მენეჯმენტმა აიღო ფინანსური პასუხისმგებლობა, რომ კაზრეთელ კადეტებს რეგულარულად მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში. 2015 წლიდან კი, რაც კომპანიის წარმომადგენლები სრულად გაეცნენ მოჭიდავეების პრობლემებს, საწარმოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სპორტსმენების დახმარება სისტემური ხასიათის ყოფილიყო. “თავდაპირველად კომპანია შეგვიპირდა ფინანსურ მხარდაჭერას და სხვადასხვა შეჯიბრებაზე მონაწილეობის დაფინანსებას. მათი წყალობით, 2014 წლის ზაფხულიდან ჩემმა კადეტებმა სამ საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, რაც მათი პროფესიული ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოგვიანებით, კომპანიის წარმომადგენლებმა მოინახულეს ჩვენი საჭიდაო დარბაზი და ნახეს, თუ რა პირობებში უნევთ ბავშვებს ვარჯიში. მათ შეგვიძინეს და დავგიმონტაჟეს წყლის გამათბობელი სისტემა, საშხაპეები, ვარჯიშისთვის საჭირო ინვენტარი, სპორტული



ფორმები და ზამთრისთვის ელექტროგამათბობლები. მსგავსი ყურადღება არასდროს არ ყოფილა. ყოველთვიური ფინანსური დახმარება საშუალებას მომცემს თავად განვსაზღვრო პრიორიტეტები და გადავანაწილო თანხა როგორც ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ასევე ინვენტარისა და სპორტული ეკიპირების შესაძენად. მთავარი კი ის არის, რომ იანვრის თვიდან ჭიდაობის წრეზე სიარული სრულიად უფასო გახდება დაბისა და სოფელ ბალიჭის მოსახლეობისთვის. ეს კი, რა თქმა უნდა, “არემჯის” დამსახურებაა!” – ამბობს კაზრეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის მწვრთნელი ელგუჯა ბასილაშვილი. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის, ნატალი ნოზაძის

თქმით, ელგუჯა ბასილაშვილმა მათ გასული წლის ზაფხულში მიმართა თხოვნით, რომ კომპანიას მისი კადეტების ტური დაეფინანსებინა ბათუმის საერთაშორისო შეჯიბრებაზე. “ჩვენ, რა თქმა უნდა, მხარში დავუდევით სპორტსმენებს და ჩვენი პირველივე თანამშრომლობა ძალიან წარმატებული გამოდგა. 2015 წლის იანვრიდან კი მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაბაში თავისუფალი სტილით ჭიდაობის განვითარებას კიდევ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი და ამ სექციას უკვე ყოველთვიურად დავაფინანსებთ. რადგან ჭიდაობის წრეზე სიარული კაზრეთელი და ბალიჭელი მოზარდებისთვის უფასო გახდა, ისინი ძალიან მოინდომებენ და ასახელებენ როგორც თავის რეგიონს, ასევე ჩვენს კომპანიას.”

ფოტოფაქტი: მსაჯვრდებულ ნანა ფარჩუკაშვილის მიერ 2014 წლის 13 ნოემბერს კომპანიაში მოწერილი წერილის პასუხად – კომპანია “არემჯის” წარმომადგენლები სტუმრად მის მრავალწლიან ოჯახში, სადაც 13 წლის ლაშას ახალი წლის დღესასწაული მიულოცეს და საჩუქრად კომპიუტერი გადასცეს.

